შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ

პ. ქავთარაძის №14ა, 22-ე სართული;

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORARY CONSTRUCTION LTD.

14a, P. Kavtaradze Ave. 22nd Floor;

I/C 404870724

11.01.2022 წ.

ქ. თბილისში, დასახლება გლდანში, I მიკრორაიონი (საკ. კოდი 01.11.12.015.085) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის კონსტრუქციული პროექტის

საექსპერტო შეფასება

წარმოდგენილია ქ. თბილისში, **ქ. თბილისში, დასახლება გლდანში, I მიკრორაიონი, (საკ. კოდი 01.11.12.015.085)** მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზები და გაანგარიშებები. შენობა **14 სართულიანია 2** მიწისქვეშა სართულის ჩათვლით.

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა. მაქსიმალური ღერძული ზომებით: **57.00x69.90მ.** შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, **H=3.90 მ;** შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს **L=6.60 მ;**

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II; სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ^2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ^2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

შენობისა და მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება, მუდმივ (საკუთარი წონა), დროებით, ხანმოკლე; თოვლის და ჰორიზონტალურ 0.17g აჩქარების (1.67 მ/წმ^2) შესაბამის სეისმურ ზემოქმედებაზე, შესრულებულია შპს 'პროგრესი'-ის მიერ. სამუშაო დოკუმენტაციაში მიღებული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების პარამეტრები განსაზღვრულ იქნა, სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის **LIRA-SAPR 2015** -ის გამოყენებით.

ნაგებობის დაფუძნება გადაწყვეტილია ხიმინჯოვანი საძირკვლის მონოლითური რკინაბეტონის ფილის მეშვეობით, ფილის სისქე H=1200მმ, მასტაბილიზირებელი ხიმინჯების დიამეტრი Ø1000 მმ. სიგრძე L=10000-15000მმ, საძირკველი ეფუძნება ფენა-4 -ს ძირითად ქანს - ფიქლისებრი თიხები, თიხოვანი ქვიშქვების, ალევროლითების თხელი შუაშრეებით R₀=3.5 კგ/სმ^2.

დაფუძნების აუცილებელი პირობა: საძირკვლის ფილის ქვეშ განხორციელდეს გრუნტის წინასწარი დატკეპნა ფუძის სრულ გამყარებამდე და ხრეშის ბალიშის მოწყობა, რომელიც თავის მხრივ უნდა დაიტკეპნოს 300 მმ სისქის შრეებად, კონკრეტული შრის სრულ გამყარებამდე (დატკეპნის კოეფიციენტი - 0.98).

Georgia IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
გიორგი
GIORGI

გვარი / LAST NAME
ჩიკვაიძე
CHIKVAIDZE

მოქ. / CIT	სქესი / SEX	პირადი No / PERSONAL No
GEO	მ / M	01008013951

დაბადების თარიღი DATE OF BIRTH	მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY
26.09.1981	30.03.2022

ბარათის No / CARD No
11IC28719

ხელმოწერა
SIGNATURE



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
30.03.2012

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 03/11
სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184

IDGE011IC28719701008013951<<<<
8109264M2203300GEO<<<<<<<<<<<8
CHIKVAIDZE<<GIORGI<<<<<<<<<<<<

GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

PhD

DIPLOMA

DOC № 000569

By the decision N 17 June 25, 2012.

of the Dissertation Council of the Faculty of

Civil Engineering

Mr. Giorgi Chikvaidze

was awarded PhD Degree in Construction Engineering

Theoretical and Experimental Research of Monolithic Reinforced Concrete Beam and Slab Bonding Zone Including their Contact Surface Specificities

(Doctor's Thesis)

სარეგისტრაციო Registration № 00571

თბილისი Tbilisi

26	6	2014
რიცხვი/day	თვე/month	წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დოქტორის

დიპლომი

DOC № 000569

სამშენებლო

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2012 წლის 25 . 6

№ 17 გადაწყვეტილებით გიორგი ჩიკვაიძეს

მიენიჭა ინჟინერიის

დოქტორის აკადემიური ხარისხი.

მშენებლობაში. მონოლითური რკინაბეტონის რიგელებისა და ფილების შეუღლების ზონის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა მათი საკონტაქტო (მიჯნაპირების) ზედაპირების თავისებურებათა გათვალისწინებით

(სადისერტაციო ნაშრომის სათაური)

დეკანი / ზურაბ გედენიძე /
Dean / Zurab Gedenidze /

ბ.ა.
Seal

რექტორი / არჩილ ფრანგიშვილი /
Rector / Archil Prangishvili /

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ზომები:

- ხიმინჯი: **Ø1000 მმ**
- საძირკვლის ფილა: **H=1200 მმ;**
- სვეტები: **500X500 მმ; 500X800 მმ; 500X1000 მმ; 500X1285 მმ; 785X1000 მმ;**
- მონოლითური კედლები და დიაფრაგმები: **250 მმ; 300 მმ;**
- გადახურვის ფილა: **180 მმ**; **200 მმ; 350 მმ;**
- მონოლითური კოჭები: **500X500(h) მმ; 500X700(h) მმ;**
- კიბის პანდუსები და ბაქნები: **h=180 მმ;**

პროექტი შესრულებულია ქვეყანაში მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:

1) ᲡᲜ 01.05-08 ,,სამშენებლო კლიმატოლოგია''
2) ᲡᲜ 01.01-09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა''
3) ᲡᲜ 03.01-09 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები''
4) ᲡᲜ 02.01-08 ,,შენობისა და ნაგებობის ფუძეები''
5) СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»

<u>დასკვნა:</u>

საექსპერტო შეფასებისას შემოწმებულ იქნა კომპიუტერული საანაგრიშო მოდელი და მუშა ნახაზები. კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში (სასრულ ელემენტთა მოდელში) გადამოწმებულ იქნა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები მათი შეხამებები და შედარებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. შემოწმებულ იქნა მიღებული შედეგები და მთლიანად შენობის მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა. შესწავლილ და შემოწმებულ იქნა გეოლოგიური და გეოფიზიკური მოთხოვნების თავსებადობა კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში.

კონსტრუქციული პროექტის მუშა ნახაზები შესრულებულია მაღალ დონეზე შესაბამისი დეტალიზაციით და ითვალისწინებს კონსტრუქციულ ანგარიშში გათვალისწინებულ თავისებურებებს.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს <u>ცალსახად დადებითი დასკვნა,</u> რომ მთლიანად არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებათა საფუძველზე შედგენილი კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებათა შედეგები აკმაყოფილებს <u>მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.</u> კონსტრუქციული პროექტი <u>აბსოლუტურად ვარგისია</u> მშენებლობის განხორციელებისათვის.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ"-ის
მმართველი პარტნიორი/მთავარი ინჟინერი:





გიორგი ჩიკვაიძე
ინჟინერიის დოქტორი მშენებლობაში
ევროკოდის ექსპერტ-კონსულტანტი